კვირა, 12 თებერვალი 1917 წ.

რედაქციის ადრესი: თფილისი, ოლლას ქუჩა, № 6.

ფასი 15 კაპ.

ეშეკვილ მარალი

№ 7

1917

შინაარსი: სიცილი და ტირილი,—ეშმაკი. შექანჯალებულის წერილები,—შექანჯალებული. ჭრილამბები—მორიელი. პატარა ფულეტონი—თარაში. წერილი რედაქციის—კერესელიძე. ნაწყვეტები—ირ. ტოფაძე ფოსტა. ერთი დღიურიდან—მარდარი (ხუნაგი). საუბარი—ხინჩლა. პორფირი ასკუკ ძე—ბოდბიპენტა. მესტვირეული—ი. გოლგოთელი.

ქარიკატურები: პოლონ. ლთა საკითხი რუსეთში; ალსარება. დაწინაურებული ბუშა.

პოლონეთის საკითხი რუსეთში



ეროვნული ბიბლიოთეკა

სიცილი და ტირილი

(ფსიხოლოგიური გამოკვლევა)

ჩვენ არა ერთხელ ვვისაუბრია პატივცემულ მკითხველთან იმ სასიამოვნო საგანზე, რომელსაც **სიცილი** ეწოდება და იმ არა სასიამოვნოზე რომელსაც ეწოდება ტირილი.

მაგრამ მაშინაც მოგახსენეთ და ახლაც მოგახსენებთ, რომ ამ საკითხის საბოლოო გამორკვევა შორეული მომავლის საქმეა. დღეს-დღეობით საკითხი ესე მთელის თავისი ბუმერაზული ახოვნებით სდგას კაცობრიობის წინაშე, ვითარცა სფინქსი ეგიპეტისა.

უკანასკნელ ჩვენს გამოკვლევაში აღნიშნულ საკითხის შესახებ, ჩვენ მოვიყვანეთ ღრმა ფილოსოფოსიური დაკვირვებანი უდიდესი ქართველი მოაზრის სოლომონ ზურგიელიძისა, ბოლო დღეს მსურს თქვენი ყურადღება შევაჩერო არა ნაკლებ ნიშიერის და თანაც ახალგაზრდა ფილოსოფოსის ივ. გომართლის გამოკვლევებზე.

ამ მხრივ განსაკუთრებით საყურადღებოა ბ-ნი გომართლის სტატია: — „**ხახალწული**“ ჟურნ. „თეატრისა და ცხოვრების“ პირველ ნომერში მოთავსებული. აქ მდებიო ენით, მაგრამ განუსაზღვრელი გონება მახვილობით და **გულრწფელობით** არის ქება შესხმული უმშვენიერესი სულიერი განცდა ჩვენი,— **სიცილი**

„შორს ტირილი და ცრემლები! მივეგებოთ ახალ წელს მხიარულნი, **სიცილით** ცეკვით, სიმღერით, დაფითა და ნალარით.“

ამბობს ჩვენი ახალგაზრდა მეცნიერი და თითონვე სვამს სულმოკლეთა და ლაჩართა მიერ მოსალოდნელ შეკითხვას:

„— მერმე რა გაქვს სამხიარულო და საცინარიო? იკითხავთ თქვენ.

სწორეთ ამიტომ უნდა ვიცინოთ და ვიმხიარულოთო, რომ საცინარი და სამხიარულო არაფერი გვაქვს. **თქვენა გგონიათ, მწუხარების დროს ადამიანს ტირილი ჰმართებს?**

ეკითხება მეცნიერი სულმდაბალთა ბრბოს და როგორც მოსალოდნელია, ეს ბრბოვე აძლევს განმანადგურებელ პასუხს:

— „მე კი მგონია, რომ **მწუხარების დროს ადამიანს მხოლოდ სიცილი ჰმართებს**. სიცილი მეტი არაცერი!

ცრემლი ტირილის შვილია*), უმწეობის, უძლურების მუდმივი თანაგზავერი.

სიცილი კი სიბრძნის შვილია,—ძლიერების, ფოლადი გულის მხლებელი.“

ვინ იქნება უგნური, რომ მეცნიერის გულწრფელობაში იქვი შეიტანოს? აქ გამოთქმული აზრები იმზომ კატეგორიულია, რომ ამ ღირსებათა მიხედვით ჩვენ ნება გვეძლევა ახალგაზრდა მკვლევარი ბ-ნი ივ. გომართელი, უწარჩინებულესი მეძიებელის სოლომონ ზურგიელიძის დონეზე ავამაღლოთ. ეს ინშვიათი მოვლენაა ქართულ ცხოვრებაში და ბ-ნი ივ გომართლის სასარგებლოთ ბევრს ღაღადებს.

რომ ყოველი ექვი გაჰქრეს შესახებ იმისა, თუ რაგვარი **სიცილი** აქვს მხედველობაში ჩვენს სახელოვან მეცნიერს, იგი დასძენს:

— მე იმ სიცილს არ მოგახსენებთ, რომელსაც თითის აწევა, ან ილლიაში ღიტინი გამოიწვევს ხოლმე.

სიცილი, ცეკვა სიმღერა უდიდესი განსაცდელის წინაშე, უდიდესი უბედურების მოლოდინში. სიცილი, ცეკვა, სიმღერა თვით სიკვდილის წინ.“

აი ის დებულებანი, რომელიც აუწყა ქართველ საზოგადოებას საყვარელმა მეცნიერმა ახალი წლის პირველ დღესვე. როდესაც მე ეს წერილი წავიკითხე მყისვე დაიბადა ჩემ თვალ წინ წარმტაცი სურათი: ქართველი გლეხის ღარიბი ოჯახი. ბნელისა და ვიწრო ოთახიდან კედელთან ტახტზე სდგას ორი პატარა კუბო. იქვე კუბოების მახლობლათ მოსჩანს სარეცელზე მწოლიარე ავათმყოფი ვაჟი. ოთახის კარე-

*) ეს აზრი სავსებით ჩვენს ახალგაზრდა მკვლევარს არ ეკუთვნის, ვინაიდან აზრი იგი მასზე გაცილებით ადრე ლ გაცილებით უფრო ბარკვევით გიმოსთქვა ნეტარსახენებულმა სოლომონმა.

„ცრუმლი ჰქვია მლაშე წყალსა,
თვალებიდან მოჰყრეს ცხებს
იგი ტირილის შვილია...
(სიცილმაც იცის თუმცაღა.)

ბთან ზის იე. გომართელი დაირით ხელში და უკრავს „ნაურის ლეკურს“. მხიარული დედ-მამა, წითელი ხელსახოცებით ხელში, მომჯადოებელ ლეკურს უვლიან.

— ვაშა, ვაშა! აღელვებულის ხმით იძახის აღტაცებული მეცნიერი, რომელმაც სხვის ოჯახში დაამარცხა სიკვდილი და თფილი კუბოების წინ სიცილისა, ცეკვისა და სიმღერის საკურთხეველი ააგო.

ჩვენს მეხსიერებაში აღსდგა აგრეთვე დიდებულივე სიტყვები ჩვენი ცნობილი კომპოზიტორის კ. ფოცხვერაშვილისა, რომელმაც დაამტკიცა, თუ როგორ სძლია სიკვდილი ქართველმა კაცმა თავისი მუსიკალური შემოქმედებით და სურათის დასაგვირგვინებლათ ყოველივე ამას ზედ დაერთო ღვთაებრივი სახე სიცილის მოციქულის სოლომონ ზურგიელიძისა.

ახალგაზრდა მეცნიერის ჩვეულებრივი სახე უკვდავების სხივით შეიმოსა:

— აი კაცი, რომელმაც სძლია სიკვდილი და ცრემლთა ნანგრევებზე ააგო მკვიდრი სასახლე სიცილისა, ცეკვისა და სიმღერისა მეთქი ვოცნებობდი მე.

მაგრამ...

ნურამც ყოფილა ქართულ ენაში ეგ ეპვებისა და უნდობლობის მშობელი სიტყვა „მაგრამ“! მას ერთად ერთს შეუძლია არარად აქციოს მთელი დიდებული ოქროს სასახლე წარმტაცი იმედებისა, მას ერთად ერთს შეუძლია დაანგრიოს მტკიცე კედელი მეცნიერთაგან აგებულის ხელთუქმნელი ტაძრისა.

„თეატრისა და ცხოვრების“ მე-6 ნომერში ჩვენმა ახალგაზრდა მეცნიერმა ბ-ნმა ივ. გომართელმა კვლავ მოათავსა ჩვეულებრივ საყურადღებო წერილი **„ჩემი მოგონება“**. ამ წერილში ბ-ნი გომართელი იგონებს ახლად განსვენებულ მასწავლებელს ალ. ციპინაძეს და სხვათა შორის სწერს:

„სიყვარულის ლამპარი, რომელიც ალექსის დაანთო მოწაფეთა გულში, აღარ ჩამქრალა და არც ჩაქრება, სანამ მისი მოწაფენი საფლავში არ ჩავლენ.

არა, მაშინაც აღარ ჩაქრება, შვილებს გადასცემენ, რომ მათაც იცოდნენ როგორი ადამიანი იყო ალექსი ციპინაძე

მე კი, ჩემო საყვარელო ჩემო ტკბილო მასწავლებელო! — **გეფიცები ქსტირი,** როცა ამასა ვსწერ, შენს შესახებ.“

აი სამწუხარო დასკვნა იმ დიდებული, ზეკაცური გამოკვლევისა, რომელიც მოანიჭა ქართველ ერს ივ. გომართელმა „თეატრისა და ცხოვრების“ საახალწლო ნომერში.

ხტირის ის, ვინც ამბობდა: „**ხიცილი, ცეკვა, სიმღერა თვით სიკვდილის წინ**“ — **ეთ ხტირის** ის არა თუ სიკვდილის შემდეგ, არამედ **ხტირის „წერის დროს.“** ხტირის ქართველი მეცნიერი, რომელმაც სძლია მწუხარება სხვის ოჯახში, და არა თუ ხტირის, კიდევაც **გვეფიცება,** რომ ის ეშმარიტად ხტირის.

და აი, სწორეთ ეს **ფიცი** შეგვიძლია გამოვიყენოთ იმ „ხავსად“ რომელსაც წყალწაღებული ეკიდება და დავასკვნათ, რომ სწორეთ ეგ **ფიცია** ამ შემოხვევაში მაჩვენებელი **ეგ ხტირის უგულწრფელობისა**, ხოლო ეს გარემოება კი საშვალებას მოგვცემს სასახელო მაშულიშვილი კვლავ ავიყვანოთ ძველებურ სიმაღლეზე, სადაც ის სიცილითა და ცეკვა-სიმღერით მუსრავდა ცრემლსა და მწუხარებას.

ეშმაკი.

შეკანჯალეგულის წერილები.

(**შემდეგი.***)

ჭეი ჭოი ჭაი ჭუი,
ამ დროებას თფუი, ფუი!..
ჭერი, ჭერი, ვახე, ვახე,
ავათა ვარ, მოდი მნახე...
ლოგინში ვარ, ვეღარ ვილტვი,
ანთებისგან დადნა ფილტვი...
სიცხე მხრაკავს—მწყურს სასმელი...
მიხარია დელი, დელი:
არ მჭირდება აწ საქმელი,
გადამირჩა ფეხსაცმელი,
ლოგინს ქვეშ მაქვს ჩაუცმელი...

—

ადი ძმაო, ზეზე ადი,
წყალი მასვი, ჭაში ჩადი...

*) იხილე ეშმ. მათრახი № 4

ხუთ მანეთად ფუთი მეადი?!?..
მე ვარ ფაშა, მე ვარ ყადი..

—

ლალე, ლალე, თარითულა ლალე,
ჰაში ჩამსვეს, მწყუროდა,
და ჰა ამოვცალე...

—

რა ვქნა არვინ მომიფრთხილდა,
სიცხე ორმოცს გადასცილდა
და თუ კიდევ მომემატა,
ცივი ტილო მომე მატა!!!..

—

ფუ! დეიქცეს ეს ბათუმი...
უეზოა, ყრუ და მუნჯი...
გასწი ბიჟო იქით ხელი...
რათ დამადგი ეს უღელი?!!
ვინ დანიშნა ეს ჯუღელი,
„ზევიდან“ რომ ჩამოფრინდა..
(ვინცხა ცხვირზე წამოფრინდა)...
ეს არავის გაუგია...
ნინას ნოხი გაუგია...

—

შენ ვინახარ, სადაური?!...
აწ თუმნად ღირს ინდაური?!?...
აგგლიჯო გინდა ყური?...
მომენატრა თეთრი პური...

—

ჰე, ჰე, ჰე, ჰე, კის-კის-კისი —
ვინ წამისვა წვერზე ფისი...
წახთა ნემოს ბენეფისი...
პლანერს, ედანოვს საათები ..
ნემომ ლოკოს სულ თითები...
ამფერია ქართველები.
გამისწორე ქალო ლები.
უქმროთ დარჩენ სულ ქალები. .
აგლაჯუნდა თავში ტვინი...
რა დროს მოკლეს რასპუტინი??

—

ბათუმში ვარ, მივალ თფილისს,
იქ მე მინდა ყიდვა კბილის;
რა ვქნა, ვინ ამიღებს ბილეთს,
რა ამრავლებს ამ ჩალეს ბილეთს...
არ მესროლოთ, ესროლეთ ბოთლ...
მე ავათ ვარ... ავადმყოფი.—
ჰე; მოჰკალით ის ოფოფი,
გაუკეთეთ შუბლზე კოპი.
(კიდევ დაწერ)

ზამოკანჯალეგული.

ძრელი ამგები

ერთი სერიოზული...

გუშინ წინ ჩვენმა მეეზოემ (ელის. ქ. № 712) ასეთი საპატიო წერილი მიიღო **ერთი სერიოზული** ქართული ჟურნალისაგან.

„ღრმათ პატივცემულო ბატონო! გავკადნიერდი და თქვენდა დაუკითხავათ გავბედე მეახლეინა თქვენთვის ჟურნალ „ცხოვრების“ ნუმერი.

ღრმათ დარწმუნებული გახლავართ, თქვენისანა ქართველი ადამიანი პირადის ხელის მოწერით დახმარებას გაუწევთ ლარიბ რედაქციას, რომ **ეს ერთი სერიოზული ქართული ჟურნალი** ნივთიერათ ფეხზე დადგეს.

ამ ჟურნალში მონაწილეობს ბევრი ნიჭიერი და მომზადებული ქართველი მწერალი.

ჟურნალის ფასი წლით გახლავთ 6 მან. დასასრულ, მიიღეთ ჩემი უმდაბლესი სალამი და ღრმა პატივისცემა.

დავრჩები თქვენი წარმატების და დღეგრძელობის გულწრფელი მსურველი.

რომანოზ ფანცხავა“.

სამწუხაროთ ჩვენი მეეზოვე ჩამომველობით ქურთია, ქართული ლიტერატურა ნაკლებ იცის, მაგრამ ესეც არ იყოს ჩვენ **არ უნდა დავაძალოთ** ჩვენი ჟურნალ-გაზეთობა ქურთ-მუსულმანებს, ვინაიდან ასეთ პოლიტიკას შეიძლება მოჰყვეს ეროვნულ საკითხის გამწვავება. სულ სხვა საქმეა ქართველობა. აქ მორიდება საჭირო არ არის მეტადრე სერიოზული ორგანოსაგან.

ეროვნული ბიბლიოთეკა

„იმედის“ ალმაჩინება.

„ნიკიერ ქართველ ახალგაზრდათა დამხმარე“ საზოგადოება „იმედმა“ სასადილო გახსნა, ძველი სემენარიის შენობაში. მაგრამ ვინ არ იცის, რომ ქართველ ნიკიერ ახალგაზრდობას „კატლეტი და ბორშჩი“ ვერ დაეკმაყოფილებს სულიერათ. **ღვინო** კი „იმედის“ სასადილოში აკძალული იყო. ყველაფერში ასეა, ჩვენს ეროვნულს სასადილოსაც არ გვანებებენ. ბავშვაც კი იცის, რომ ქართველი ახალგაზრდობის ასაღორძინებლათ ღვინო აუცილებელ საჭიროებას წარმოადგენს, რომ ქართველ მამულიშვილს საქართველო სწორეთ მესამე ბოთლის შემდეგ მოაგონდება ხოლმე.

მრავალი ცდა დარჩა საჭირო, რომ საზოგადოების თავმჯდომარისათვის მიეცათ ნება ღვინით ვაჭრობისა. ეს დიდი ნაბიჯია პროგრესის გზაზე გადადგმული. მართალია თითოეულ ნიკიერ ახალგაზრდას მხოლოდ **ნახევარი ბოთლი** შეუძლია მოთბოგოს, უკეთ ესთქვათ გზა განვითარებისა შებორკილია, მაგრამ ამ გარემოებას შეიძლება შემოაუაროთ. აი როგორ:

ბ-ნი ზურაბი ავათ გახდა. ექიმი მოიწვიეს. ექიმმა გასინჯა ზურაბი, გამოუწერა წამლები და დაუნიშნა დიეტა.

— ღვინოზე უარი უნდა სთქვა, ვიდრე მორჩებოდე; უთხრა მან ზურაბს.

— რასა ბრძანებ, ბატონო ექიმო, — აოელვებით მიუგო ავათმყოფმა — უღვინოთ ხვალვე მოკვდები. როგორმე....

— კარგი, კარგი, შეგიძლია მხოლოდ ერთი ჭიქა დალიო, ზედმეტი იკოდე საწამლავი იქნება.

ზურაბი დაეთანხმა. დილით მან ჩამოიარა მთელი ბაზარი ქუთაისისა და ერთ დუქანში იპოვა ის, რასაც ეძებდა: **ჭიქა, რომელშიაც ბოთლნახევარი ღვინო ჩადიოდა.** იყიდა და წაიღო სახლში. ის ავსებდა ჭიქას პირამდე და იზოგებდა მთელი დღის განმავლობაში. მეორე დღეს ექიმი განცვიფრებული დარჩა საარაკო სანახაობით.

ქართველებს საზოგადოთ (ნიკიერებს ხომ მით უმეტეს) კარგ საქმეში მიმბაძველობას გვიქებენ.

მორიელი.

კატარა ფელეტონი

ლომი მოციქულათ.

(იგავი. ძველნათ ვისაც ერგება.

ლომმა გაიგო, რომ **სიმართლეა** ისეთი ნივთი, ქვეყანა თავსა სიმტკუნის დროს იმართლებს რითი— და იწყო ტკბილათ ქადაგება ქრისტიანობის... სიბრძნით მეექვარე მისი ენა ქმობა-ერთობის ნათელს აფრქვევდა-შვების მადლით რწმენის მსახველი, გავარდა შორად მით, ყრუ ტყეში, ლომის სახელი! მისი ხმა წამლათ მხეცთა გულში იბეჭდებოდა, და მსმენელთ გუნდი მის გარშემო გაიზრდებოდა... ყველას ერთობის მახარობლის დანახვა სწყურდა, ყველას ერთ ურთის ჯინით მისი გაცნობა სურდა და ერთხელ იგი ახლო სმენად ვეფხვმაც ისტუმრა. რა ნადირთ ხორცით სავსე არ ქნა მდიდრული სუფრა! ნახარკ-ნახარჭი ჯიხვი, არჩი ვის რაც უნდოდა — მოშადრევნე ლაღსა სიტყვებს ჩქერა გაჰქონდა... მაგრამ ხომ იცით: „კატის ლხინი, თაგვის ცრემლია!“ ვეფხვის ნადიმით დაზიანდა ლომის მრევლია. მან ხვეწნით მოძღვარს გაუგზავნა დეპუტაცია: ირემი, შველი, სხვაც მრავალი—ბევრი ნაცია; — მოთმინებისა—მოახსენეს—დავსვით დარია და აწ მოძღვარო გვიხსენ... მისგან—უჩვენეს ვეფხზე— ძილი ვერ მოგვდის, ვეღარ ვდგევართ შინითა ფეხზე... და... აქ განაბეს იმათ სული: რომ ხორცს თვის მოძმეთ ნახეს თვით უჯდა, ვინც მსაჯულათ უჩნდათ და მოწმეთ...

მაძღარი თავი ჩაიქნია მოძღვარმაც ძმიმეთ:— —ხორცის სიმრთელეს ნუ მიჰყობით, მას, შვილნო, სძლიეთ: სიმრთელე მხოლოთ სულიერი რწმენით ეძიეთ!..

მთხოვნელთ კი ძმიმე გაიფთრებით იძუეს კუდი... „ხორამ“*) საყდარში ვერ დამალოს თავი ან ქუდი!

ოარაში.

*) ხორა—ქეციანი.

წერილი რედაქციას

ბ-ნო რედაქტორო!

თქვენი პატივცემული ჟურნალის მე 5-თე ნომერში მოთავსებულია წერილი ვინმე კ. ნ-ვილისა. ისა სწერს ვითომ მე ვიყო ენის მიმტან-მომტანი ბრიგადირთან და ვეწეოდე ლაქუცობას. ყოველივე ეს ჩემზე შეთხზული ცნობა სრული სიყალბე და ცილისწამებაა. ჩემი უდანაშაულობის დასამტკიცებლათ ვიწვევ ბ-ნ. კ-ნ-ვილს სამედიატორო სასამართლოში. ჩემის მხრით მედიატორებათ ვასახელებ ა. ჩერნიშევს და დ. კარსაულიძეს. ამ წერილის გამოქვეყნებიდან ვაძლევ ერთი კვირის ფადას, რათა კ. ნ-ვილმაც დაასახელოს თავისი მედიატორეები. მედიატორეთა განაჩენი უნდა დაიბეჭდოს თქვენს პატივცემულ ჟურნალში. უკეთუ ჩემ შესახებ შეთხზულ ცილისწამებათა ავტორი კ. ნ-ვილი არ ისურვებს სამედიატორო სამართალს, უფლება მექნება ვუწოდო მას ცილისმწამებელი

ვლადიმერ კეკრესელიძე.

ნაწყვეტები

ერთხელ, აკაკი, თმა შეეერცხლილი,
მე გამოსული ვნახე სცენაზე.
და, ვარდის ენით, შაირი ტკბილი
მორაკრაკობდა იმის ენაზე...
ის გარდიცვალა, უკვე დავმარხეთ,
მაგრამ სულ თან მდევს მისი აჩრდილი;—
ალბათ გაცოცხლდა და მწარე ენით,
სასაფლაოში მოჰკლა სიკვდილი...
ასეა ყველა ხალხის ქურუმი.
სიკვდილს თითონ ჰკლავს, ის კი არ ჰკვდება.
აჩრდილი მისი აზრს სიცოცხლისას
უფრო გარკვევით ესაუბრება.

* * *

ქვესკნელს ეშმაკმა გადიხარხარა,
და ქვეშევრდომებს ასე ახარა:—
— კაცობრობის სინდის-ნაბუსი,
ფულს დავასკვენი ცხრა ჯერ კუდზედა;
სიტყვის მასალად ვაქციე ფიცი
რჯულზე, სინდისზე და ბაბეულზედა.
ხალხიც ეშმაკს ჰგავს,— ყველამ გაიგო
ფულმა ქვეყანა როგორ არია.
შეიტყვეს, ვინაც ფულით ვერ ძღება,
ის რომ ეშმაკის მიმდევარია...

* * *

როცა ფიქრებს თავს დავახწევ
მეცინება მე, ღმერთმანი,
რომ ჩემ სატრფოს მთვარის ზურგზე
დაუნიშნე პაემანი.
რა მინდოდა ეგრე შორე?
აქ მენახა ჩვენი ქალა...
მოდუდუნე მდინარის პირს
მასთან გრძნობა გამეშალა!
ეჰ ფიქრებო, სულ ბავშურად
რას დახტიხართ?—უნდა გკადროთ
მე თქვენს ხუნტრუცს ვერ ავყვები,
მე მიწა მაქვს სანავარდოთ...

ირ. ტოლაძე.

ფოსტა

პოზიციელს. თქვენი ლექსი „ომში მივდივარ!", ერუანტელს გვგვრის. მეტადრე ის ადგილი, სადაც სწერია:

„პოზიცია მეც მსურს ვნახო
თან გავსინჯო მე შრაპნელი"...
იქ ჩემი სისხლიც დაინგრეს
შეიღებოს წითლად ველი.

პოზიციაზე, გასცლამდე რო ასეთი ხართ იქ რაღა იქნებით! ახლა კი შეგვიძლია ზავზე ვიოცნებოთ.

ბ-ნ ბეეუკის (განმარტება) თქვენ, მოწუალეო ხელწიფევ, იწერებით: „პირველათ ჩოხატოლორის ვიში ნაჩი უჩილიჩაში სტავლის ფული 30 მანათი იყო, ახლა 60 მანათი გახადეს. ამას ვინ ჩიეოდა ბალნებს რომ რამეს მაინც ასტავლიდენ და სულ ერთითავათ კარტს არ თამაშობდენ. ვთხოვ რედაქციას ერთი ჩამიხატოს მაგენი-ო."

„ეშმაკის მათრახის" რედაქცია კატეგორიულათ ეწინააღმდეგება თქვენს ცნობას კარტის თამაშის

ეროვნული ბიბლიოთეკა

შესახებ და მით უმეტეს სწავლის ფულის მომატების ამ საკითხთან დაკავშირებას. როგორ შეიძლება კარტის მოთამაშეს თამაშის დროს კონი შემოაკლდეს და მაშინვე სწავლის ფული მოუმატოს. სხვას რომ თავი დავანებოთ აღნიშნულ სკოლას სახელმწიფოს თავდაცვის საქმეშიაც დიდი ნამსახურობა მიუძღვის: ჩვენ დანამდვილებით ვიცით, რომ პირველ ხანებში საპრაპორშჩიკო ახალგაზრდობას ეკზამენის დასაჭერათ ეს პუნქტი ჰქონდა ანარჩევი. თქვენს წერილში ყველაფერს გაიგებს კაცი. ბ-ნო ბეჟუკი, მაგრამ ჩვენ ვერ გავიგეთ რა კავშირია ზემორე აღნიშნულ სასწავლებელსა და თქვენი ურმის გატეხის შორის. ურმით ხომ არ დაგაკვდათ კარტის სათამაშოთ? ჩვენის აზრით ურმის გატეხას უფრო მეტი კავშირი გზის უვარგისობასთან, ან ურმის სიძველესთან უნდა ჰქონდეს. ამგვარათ იცოდეთ, რომ საეშმაკო ცნობას მეტი საბუთები და ობიექტიური სარჩული სჭირია.

ერთი ღღიურიდ

ფინანსიტყვაობა.

ენაკლო ხალხსა არ ქმნის ბუნება,
ბევრს თვისი ხვედრი მუნ ეწუნება:
ბოგს სჯის განგება, ნაკლს აძლევს ზეცა
და ნუ გიკვირდეთ, ვამბობდე მეცა,
რომ ქმაყოფილი არ ვიყო ხვედრით
და არ მომწონდეს რაცა მხვდა ბედით.
მაგრამ ზეცის შვილს, კაცსა მიწიერს,
(არ მოგახსენებთ მავნეს, ბიწიერს)
ბოვალეობა თავს აწევს დიდი
(მეტი სათქმელი განგებ დავმალე,
რადგან ინტერესს დაკარგავს მაშინ,
თუ რომ სიტყვებში ყველა ავაგეთ
და საფიქრელი ჩვენი საქმენი
ასე უბრალოთ უქმად წავაგეთ).
მაგრამ დღიური ნაწერი ქვემო
(კარგად უსმინე, მკითხველო ჩემო),
თქვენ დაგანახებს თუ რა შეეძელი
და შეცთომები ახალი, ძველი,
გამოვასწორე ვით ლარ-ნახაზი
და გოგოები ლამაზი, ნაზი
გარსა მეხვევა ვით თაფლს ფუტკარი
და დრო უწყალო გამფრენი ჩქარი
ჭმუნვის მაგივრათ სიხარულს მომფენს,
რადგან ქალები ჩემ მხარეს მოფრენს.

25 იანვარი

დღეს ქუთაისს ჩამოვედი
და ბულვართან გამოვედი.
გვერდში მომხვთა დიდი მუშთი,
მას თან მოყვა თოვლის კუშთი,
მაგრამ შიშმა ვერ შემიპყრო
(გულმაც ნაზი ცემა იწყო)
მაინც გავბერ ხალხი სქელი,
გოგო ენახე განზე თხელი,
ზევით ეცვა კოფთა გძელი,
მაგრამ არ ჩნდა კაბის წელი.
იყო კოხტათ ფეხთ ჩაცმული
და აზრები ზემოდ თქმული,
გადუშლე ვეამბორე, შეურიგდი გამიცინა,
ფეხს უჩქარა, სხვას გაასწრო და გზა ასე დაიწინა.
არ გაწითლდა, გთამამადა და თავს არა დაიჩინა,
მხოლოდ მითხრა გაბედულათ:
„არ აღმოვჩდე ფუტურისტი,"

ეროვნული ბიბლიოთეკა

აშკარაა მას მოსწონდა
აფიცერი, ან ტურისტი.
გამიხარდა. გავიცინე,
რადგან „დუშკა“ გავიჩინე,
(მაგრამ ვამე, ამის შემდეგ
ღამით ველარ დავიძინე)
და „მშვიდობით“ უთხარ როცა,
მან ბარათი ხელში მომცა.
ალბათ შეცდა, სხვა ვეგონე,
ან მიცნობდა, გავეგონე,
თორემ ასე შეხვედრისას,
სად შეთხზავდა წერილს მისას?
რას მეტყოდა, გადმიშლიდა,
და ან კოცნას დამიშლიდა!..

მარდარი

დღიური იპოვა და შეასწორა

ხუნაბი.

(შემდეგი იქნება).

— შვილო! უზენაესი ყველაფერს ხედავს. გულის ზრახვა ჩვენი, არა თუ საქმენი თვალსაჩინონი, ნილულ არიან მოწყალე თვალ თა მისთათვის. სთქვი ყველაფერი გულ ახდილათ, დაუფარავად.

— მესმის, მამაო სახიერო.

— მეათე მცნების წინააღმდეგ შეგიცოდვიეს, შვილო!

— (პიანო) შემიცოდვიეს.

— შეგინდოს მეუფემან. მეექვსე მცნებისა წილ?

— არა, მამაო.

— კურთხეულ იყავ და კვალად ერიდე ცოდვასა მას. მოგიტყუებია, შვილო, ვინმე.

— არ მახსოვს მამაო.

— გაგიცარცვავს ვინმე აშკარად.

— არა, არას დროს.

— სახელი ღვთისა გიხსენებია, შვილო, ამასა ზედა?

— მიხსენებია, თუმცა იშვიათად,

— მარხვა გაგიტეხია, შვილო?

— გამიტეხია, მაგრამ უნებლიეთ, მამაო, რას იზამ, როცა ქალაქში ლობიოს ვერა ვშოულობთ, იძულებული ვხდებით ინდოური ვჭამოთ.

— დედ-მამისთვის გიწყენინებია როდისმე?

— არ მახსოვს.

— შაქარი მოგიპარავს პატარაობისას?

— პატარაობისას? არა, არა მამაო.

— ადექ შვილო. წადი გაკურთხოს ღმერთმა.

მუსაიფი

(სცენა ლეჩხუმის ცხოვრებიდან)

ორბელის წვერზე შეხვდებიან ერთმანეთს გლეხები: ნიკოია, ივანიკა და გოგიელა.

გოგიელა. ეაცო ლურჯ ბილეთიანები კიდევ გაყავენ ვოინშო, მართალია?

ნიკოიე. გაიყვანენენ—მაშ?

გოგიელა. ჰო და, ქვე ვიღან დარჩება ამ ოხერ სოფელში?

ივანიკა. ვინ და ის, ვისაც ,,მოხერხება'' აქვს.

ნიკოიე. საშვალება მართლა ბევრია: ვინც სტრაჟნიკათ შევა.

ივანიკა. ვინც გზების, ან ხე-ტყის სამუშაოთ გავა.

ნიკოიე. ვინც ფულს დახარჯავს, ისეც ნაშველებია.

გოგიელა. შენ გამოცდილი კაცი ხარ, ნიკოიე, ეგების რამე გამომარჩიო ჩემი ბოშის შესახებ; ის თუ წაიყვანეს, შიშილით სული ამოგვხდება მე და ჩემ დედაბერს.

ნიკოიე. ქვე რა გამოცდილება გინდა; ფულია საჭირო. ფულით ყველაფერი გაკეთდება.

გოგიელა. ჩემი უბედურებაც ის არის, ღარიბი ვარ, მარა ფულიც რომ მომცა, რა ვიცი სად რა უნდა.

ნიკოიე. ჯერ წერალი და მამასახლისი უნდა დაპატრონ. ათი თუმანი ეყოფა თითოს. მერე ცოტა შენი უბნის პოპოშნიკსაც უნდა მისცე. რასაკურველია სტრსჟებიცუნდა მოიმადლიერო და ორსამკ ვირეს შენი ბოში ხელუხლებელი იქნება.

გოგიელა. კაი დაგემართოს, მარა მერე?

ნიკოიე. ამასობაში ოთხას-ხუთასი მანეთი უნდა იშოვო და არიენ ასეთი კაცები, რომ ამ ფულით საქმეს გაგიკეთებენ ,,პრისუტსვიეში'' და შენი ბოშიც გამოძერება.

გოგიელა. ქვე ბეჩა ნიკოიე, ამდონის მოხერხება რომ მქონდეს, მერე რაღა მიპირს;

ნიკოიე. აბა ნატვრით ეხლა ,,საქმეები'' არ კეთდება და რა ვქნათ.

ივანიკა. ჩემი ბოში ილოიე ქვე შევიდა სტრაჟნიკათ და შენც შეიყვანე.

გოგიელა.

აბა ვინ მიაშვებს ჩემს ბესიკელას სტრაჟნიკობას?

ივანიკა. ვინ და გაყიდე ხარი, ძროხა, ცოტა ადგილსაც მოაკელი და იშოვნე ასეთი ოთხასი მანეთი; ეს ფული მიეცი სადაც რიგია და შენი ბოში ერთ კვირაში მიიღებს სტრაჟნიკობას. ჩვენ ზორის კი დარჩეს და მე შემწე ბატონები მყავდა და იმიტომ მარტო სამასი მანეთი გადამახდევინეს... მარა ისეც უნდა იცოდე, რომ შენი ბოში ერთ წელწადს სრულ ჯამაგირს ვერ მიიღებს, მარა რა უშავს ქვეყანა ფართეა და ეხლა სტრაჟნიკებსაც კაი შონის დრო აქვთ. შონაა, შონა—ბიძიავ!..

გოგიელა. ქვე ხარი, ძროხა, გასაყიდი ადგილი და სამას—ოთხასი მანეთი ფული რომ მქონდეს მერე რაღა მიპირს? მეც ვიცი, რომ შეძლებულის შვილები არხეინად დაიარებიან.

ივანიკა. აბა შელოცვით გინდა გადარჩეს?

ნიკოიე. გზების სამუშაოთ, ან ხე-ტყის საჭრელათ ოატომ არ გაუშვებ?

გომიელა. უთუოთ აქაც ფული იქნება საჭირო?

ნიკოიე. უფულოთ დღეს ფეხსაც ვერსად გადგამ ბიძიავ! მუშათ რომ გინდოდეს სადმე ჩაწერა, ამისთვის ფოდრაჩიკს უნდა მიართვა ამ თავით ხუთი თუმანი მაინც და მერე ერთი წლის განმავლობაში უჯამაგიროთ უნდა იმუშაო შენს ხარჯით და ეს გარემოება შეღავათს აძლევს.

გოგიელა. ჰოიდა, ბარემ ვოინშო წავიდეს ის არა სჯობია? ეხ, დაგელოცა ღმერთო სამართალი!

Ა

გოგიელა. ღმერთო!... როდემდის, როდემდის! როდემდის და იმა დრამდე, ბატონია სანამ ფული; არ მოაწევს ის ნეტარი, გადამწყვეტი, დრო დათქმული,—სანამ ძმაო გოგიელა, ეს ცხოვრება მეტად რთული—შენებრ ბედით ჩაგრულთათვის კვლავ იქნება მწარე, კრული.

—

მაგრამ ვსთხოვოთ ჩვენს მეგობრებს, ეშმაკსა და მორიელსა, რომ ვინც ლეჩხუმს უკანქაროთ არ აკეთებს არაფელსა,—ერთი მოსცხოს მან მათრახი სამარცხვინო ადგილ-ველსა, რომ ამითი ცოტაოდენ შვება მისცეს ლეჩხუმელსა.

ᲮᲘᲜᲩᲚᲐ.

ეროვნული

პორფირი ასკუპაძე

(დასასრული)

2 მაგი.

სრული ორი საათი იყო. პორფირი სახე მუშუნვარე და ჩაფიქრებული, სახლისკენ მიდიოდა. სახლის კიბეს რომ დაუახლოვდა ის ფეხის ცერებზე შედგა, სრულიად გაუბმაურებლად ავიდა ზევით, ნელა გაიღო წინა ოთახის კარი და შეუმჩნეველათ შევიდა... ოთახში არავინ იყო... მაგრამ ჩუ.. მას თითქო მეორე ოთახიდან ლაპარაკი შემოესმა. პორფირიმ სული განაბა, და ყური დაუგდო. ლაპარაკი მართლაც მოისმოდა, მაგრამ ნელი, გაურკვეველი. პორფირი ჩუმის ნაბიჯით ოთახის კარებთან მიიპრა, ჩაიჩოქა, ცალი ყური ჭუკრუტანას მიადო და სმენათ გადაიქცა.

— ჩემო სიცოცხლეე, ჩემო ცხოვრებავ! აბა სად მიდიხარ? ჩემს კალთაში ყოფნა მოგწყინდა? ჩემო ლამაზო, მოდი ჩემთან, მოდი! მოდი გაკოცო მოდი! აი ასე, აი ასე!..

შემოესმა პორფირის ცოლის წკრიალა ხმა. ის პირველათ ყურს არ უჯერებდა. მაგრამ სიტყვები ისე გარკვევით და მკაფიოთ მოისმოდა, რომ აშკარა იყო მისი ცოლი ვიღაცას ეალერსებოდა.

— ყველაფერი გათავდა, მიღალატა, მიღალატა! ტანჯულის ხმით გაისრესინა პორფირიმ, უეცველათ საყვარელია, საყვარელი!

საბრალო პორფირი! მის გულში სხვა გრძნობებთან ერთად შიშიც აღიძრა. მას ვერ გადაეწყვიტა შევარდნილიყო ოთახში, პირის-პირ შეხვედრიდა საყვარელს და გასწორებოდა მას, თუ დამლულიყო, საყვარლისთვის წასვლა ეცლია და მერე ჯავრი ცოლზე ამოეყარა?

— რა ვქნა?.. შევიდე? იქნებ იმ წყეულსაც აქვს იარაღი! უეცველათ ექნება!.. და მერე რომ არ მომერიდოს.. მომკლას... მერე სიკვდილი... ასე უმიზნოთ, უსარგებლოთ... მაშ რა ვქნა, როგორ მოვითმინო, როცა ჩემს ცოლს ვიღაც ეალერსება?!

— ასეთ რაყვაში იყო პორფირი, რომ უეცრად, მეორე ოთახიდან ფეხის ხმა შემოესმა. აშკარა იყო მიჯნურები გამოსვლას აპირებდენ. პორფირი მოშორდა კარებს და ციბრუტაცვალ. ოთახში ტრიალი.

— მოდიან, მოდიან! რა ვქნა სად დავიმალო!? შეშფოთებული იმეორებდა ის.

ჯერ მან ტახტის ქვეშ შესვლა დააპირა მაგრამ თვალი შეასწრო ტანსაცმლის შკაფის ღია კარს და იქითკენ გაექანა. ნელა გაღო, სწრაფად შეეიდა შიგ და კარი წაიხურა... როგორც იყო თავისუფლათ ამოისუნთქა და სმენათ გადაიქცა. მისი შკაფში შესვლა და კარის გაღება, თითქმის ერთსა და იმავე დროს მოხდა. კარებში გამოჩნდა ელო... მას გულში ჩაეხუტებია თოვლივით თეთრი ციცუნია და ბავშვივით ეფერებოდა და ეალერსებოდა.

— ჩემო ფისუა, ჩემო ფისუნია! აბა სად მიხვიდოდი! განა ჩემს უბეში ყოფნა მოგწყინდა, არ გრცხვენია! ჩემო ლამაზო, ჩემო მშვენიერო!

ეალერსებოდა ელო. ციცუნიაც თითქოს გრგრძნობდა ამ ალერსს, გულში ჩაკვროდა და კმაყოფილების ხრუტუნით აძლევდა პასუხს.

ცოლის სიტყვებმა და კატის ხრუტუნმა გაშოაფხიზლა პორფირი, ყველაფერი გამოირკვა.

— ტფუ! გამოჩერჩეტბეულო ჩემო თავო! კატა საყვარელში ვერ გავარჩიე?! ვაი სირცხვილო!.. როგორ შევხედო ჩემს ელოს!.. ან კი როგორ გავიღე გულში მისი ღალატი? განა ანგელოზს ღალატი შეუძლია! აბა რა აღგილი აქვს გარყვნილებას მის მტრედივით ბოლოდგონე გულში! მისი გული წმინდაა, უმანკოა!.. გარყვნელი მე ვარ, მე საძაგელი! პორფირის სიამაყე დაიმსხვრა, მისი თამამყვარეობა განადგურდა. ის მზათ იყო შკაფიდან გამოვარდნილიყო, ელოს წინაშე გართხობილიყო და ცრემლებით გამოეთხოვა მისგან პატიკვება მისი სახელის შეურაცყოფისათვის. მაგრამ სირცხვილი და მისი სასაცილო მდგომარეობა აკავებდა მას.

— მოიცა წავიდეს ჯერ ჩემი მშვენიერი ელო და მიშინ გამოვალ ამ საჯანდაბე შკაფიდან, გაიღო მან გულში... და დაიწყო მოლოდინელი ლოდინი.

მაგრამ ელო წასვლას თითქოს არ აპირებდა. ის ეალერსებოდა მის ციცუნიას და თან დასეირნობდა. ბოლოს გაუშვა ფისუს ხელი, კარებზე მიდგა და ქუჩაში გაიხედა, და რომ ვერავინ დაინახა თითქოს ნაღვლიანათ წარმოსთქვა:

— რათ იგვიანებს ნეტავ პორფირი?.. ხომ

ეროვნული ბიბლიოთეკა

არაფერი შეემთხვა? ამ სიტყვებმა სრულიად დაადნო პორფირი.

ელო ისევ უკან შემოტრიალდა და უეცრად მისი თვალები შაფის ღრიჭეთ დატოგებულმა კარმა მიიპყრო

— დახე, წელან შაფი გავაღე და კი არ დამიკეტია.

თავისთვის წაილაპარაკა მან, მივიდა შაფთან მჭიდროთ მიხურა კარი, დაკეტა, გასაღები ჩამოაძრო და ჯიბეში ჩაიდვა, შემდეგ იქვე სკამზე ჩამოჯდა და ფიქრებს მიეცა.

ელოს უკანასკნელმა მოქმედებამ პორფირს გული გადაუტრიალა. დარჩა შაფში, გამოსასვლელი გზა დაეხშო. შაფში საშინელი სიცხე იდგა, პორფირს ოფლი წურ-წურით ჩამოსდიოდა. და აქ კიდევ ხან კაბა, ხან იუბკა, ხან შარვალი ან ტუჟურკა მოსვენებას არ აძლევდა, პირზე ჩამოეფარებოდა და სუნთქვას უპირებდა. კარის სავსებით დახურვამ შაფში ჰაიერი კიდევ უფრო დახუთა. პორფირის უკანასკნელი იმედის ძაფი გაუწყდა ის აშკარად ხედავდა, რომ მახეში მოემწყვდა და მისი საქმე სამარცხვინოთ თავდებოდა.

— ახია ჩემს თავზე, ახი! უარესი მეკადრება ტფუ! რა სულელური მდგომარეობაა! აბა რა უნდა ვქნა ეხლა!

დროც არ ითმენდა, შაფში ჰაერი თანდათან მძიმდებოდა და სუნთქვას უხშობდა.

როდემდი უნდა დარჩენილიყო ასეთ მდგომარეობაში?

ის იძულებული იყო დაჟღლია ყოველგვარი სირცხვილი და შაფიდან დახმარება ეთხოვა თავის ცოლისათვის. პორფირიმ მოიკრიბა უკანასკნელი ძალ-ღონე და აკანკალებულის ხმით მიმართა ელოს.

— ელო, ელო! შემიბრალე შენს სულს ვენაცვალე, გამიღე ამ დასაწვავ შაფის კარი, თორემ ეს არის დავიჩრჩვი.

ამ სიტყვებთან ერთად პორფირიმ ნელა დააკაკუნა კარზე. ყრუ ხმამა და კაკუნმა ნელა დაარღვია ოთახში გამეფებული სიჩუმე.

ელო შეკრთა, წამოხტა, გოცებული იყურებოდა აქეთ იქით და ვერ მიხვდარიყო თუ ვინ ეძახოდა მას.

— ქუდი ხომ არ მოემწყვდია შაფშიო გაუელვა ასეთმა აზრმა და მისი ნაზი გული შიშმა აიტანა.

— ვინ ხარ?!. რა ხარ?!.. ეეეინებული, ნაწყვეტ-ნაწყვეტათ იმეორებდა ის.

— მე ვარ, გენაცვალე, შენი პორფირი! აი შაფის კარი რომ დაკეტე მე შიგ ვიყავი... და მოვემწყვდი! მალე შენ გენაცვალე, მალე გამიღე, თორემ ეს არის, ლამის ძაღლივით დავიჩრჩე! ელომ იცნო პორფირის ხმა, მაგრამ მის გაოცებას საზღვარი არა ჰქონდა ვერ წარმოედგინა თუ რა უნდოდა შაფში პორფირის.

— „ჰკუაზე ხომ არ შეცდა ნეტავი! გაიფიქრა მან.

— კაცო და... მერე შაფში რა საქმე გქონდა.

— დაგენაცვლოს პორფირი, ოღონდ გამიღე და... ყველაფერს გეტყვი, სულყველაფერს თავიდან ბოლომდი!

შეშფოთებულმა ელომ აკანკალებული ხელით გააღო კარი და წამსვე უკან დაიხია. შაფიდან ბარბაცით გამოხოხდა პორფირი გაწითლებული და ოფლში ამოწურული.

— ღმერთო ნუ გადამრევ! შაფში რა გინდოდა კაცო?

კვლავ გაკვირვებით დაეკითხა ელო და პირჯვარი გადაისახა.

— სისულელე, ჩემო კარგო, სისულელე. ხომ იცი კაცს რომ ღმერთი გაუწყრება ყველაფერს სისულელეს ჩაადენიებს!..

ელო სრულიად დამშვიდდა, დაწყნარდა და ეხლა პორფირის მდგომარეობას რომ წარმოიდგენდა სიცილი მოსდიოდა.

— ყველაფერი კარგი, მაგრამ შაფში რას აკეთებდი არ იტყვი?.. როგორ მოემწყვდი?.. ხა, ხა, ხა, ხა, ხა,.

— კარგი ელო... აიყველაფერს გეტყვი... ღირსი ვარ, მაგრამ ნუ დამცინებ შენ გენაცვალე!.. კი ყველაფერს გეტყვი, ყველაფერს! აღელვებით და დარცხვენით ამბობდა პორფირი — ... ხომ არ დამცინებ?!.

— აბა რას ამპობ რისთვის უნდა დაგცინო!

ღიმილით უპასუხა ელომ.

პორფირი ქშენით ჩამოჯდა სკამზე, მაგრამ თავს ისე გრძნობდა, თითქო ეკალზე იჯდა.

პორფირის უნდოდა რაღაც ეთქვა, მაგრამ არ იცოდა რა ეთქვა, სიდან დაეწყო „ყველაფერი რო-

გორ მოუყვე, როგორ გამოვაფინო ჩემი სისულელე ფიქრობდა ის. უნდოდა რამე მოეგონებია და მით დაეკმაყოფილებია ელო, მაგრამ გონიერება არ ემორჩილებოდა. ელო კი პირდაპირ თვალებში შესცქეროდა და მისგან პასუხს ითხოვდა. ბოლოს როგორც იყო პორფირიმ დასძლია თავის თავს და ბავშვურის გულახდილობით უამბო ელოს ყველაფერი თავიდან ბოლომდის...

— ხა, ხა, ხა, ხა! რა სასაცილოა! ჭაღარის გარეგან შეგაშინა! ჩემზე იქვი დაგებადა!.. ხა, ხა ხა, ხა! ჩემი ცოცუნია საყვარლათ მიიღე! მერე შიშით შკაფში შეძვერი! ხა, ხა, ხა, ხა! მე კარი დაგიკეტე! ოჰ, ღმერთო რა სასაცილოა, რა სასაცილოა, ხა, ხა, ხა, ხა! ხა, ხა, ხა, ხა, ხა!..

თითქმის ისტერიული სიცილით ხარხარებდა ელო, როცა გაიგო, თუ რაშიც იყო საქმე. ელოს თითეული გაცინება მისი თითეული ამოძახილი ეკლებივით ესობოდა გულზე საბრალო პორფირის. ის საშინლათ იტანჯებოდა, გრძნობდა თავის დამცირებას.

ბოლოს ელომ სიცილი შესწყვიტა, დამშვიდდა და შეურაცყოფილი ადამიანის გამომეტყველება მიიღო..!

— მაშ შენ ასეთ საძაგელ ქალად მთვლიდი? ასეთი წარმოდგენის იყავი ჩემზე! ღმერთო რა საშინელებაა! მერე რით დავიმსახურე ყოველივე ეს! ნუ თუ ჩემი წმინდა გულით, გულწრფელი სიყვარულით?! ოოჰ!..

ელოს კიდევ უნდოდა რაღაც ეთქვა, მაგრამ გული აუჩუყდა და სიტყვების მაგიერ ცხარე ცრემლები გადმოეფრქვა თვალთაგან.

ელოს ცრემლებმა სრულიად მოშალა პორფირი. სიბრალული, სიყვარული, დანაშაულობის გრძნობა და კიდევ სხვა ათასი გრძნობები ზღვის ტალღასავით აგორდა მის გულში და გადმოხეთქას ლამობდა. ის გრძნობდა თავის დანაშაულობას, გრძნობდა თუ რა სასჯელი მიაყენა თავის ახალგაზრდა ცოლს მისი წინ დაუზედაობით. მას სურდა აეხსნა ელოსთვის მისი უნებლიეთ შეცდომა და ცრემლებით გამოეთხოვა პატივება. ის წამოიჭრა ზეზზე აღელვებული, აცახცახებული, დავარდა ელოს ფეხებთან და ვედრების ხმით მიმართა:

— ელო, ჩემო მშვენიერო, ჩემო ცით მოვლენილო, ანგელოზო!.. მაპატივე! ნუ მიწყენ! მე სრულიად არ მინდოდა შენი შეურაცყოფა! მე თვით არ უჯერიდი ჩემს თავს, ... გთხოვ! ნუ დამანახვებ შენს ცრემლებს თორემ ლამის მეც ავტირდე.

პორფირის ცრემლები მოერია.

ელო ყურს უგდებდა მის სიტყვებს. მას ვერ ეცნო პორფირი. მის ფეხებთან ეგდო ადამიანი— მჩვარი, რომლითაც შეგიძლია ფეხი გაიწმინდო. მან პირველათ იგძნო რაღაც გაურკვეველი ზიზღი ამ საბრალო ადამიანისადმი.

— კარგი, კარგი ეხლა გაპატივებ, მაგრამ აწი მაინც არ გაივლო გულში ასეთი აზრი ჩემზე!—თითქოს ბრძანების ტონითი ეუბნებოდა ელო.

— გმადლობ ჩემო, გვრიტო! მოგიკვდეს პორფირი თუ კიდევ რამ ასეთი გაივლოს გულში! მაგრამ, მაგრამ შენც ხომ არ მიღალატებ ჩემო ანგელოზო! ხომ მუდამ გეყვარები? სხვაზე ხომ არ გამცვლი? ხომ ასე, ხომ!..

და პორფირი ყელზე მოეხვია ელოს.

— აბა რას ამბობ! კიდევ ეჰვი გეპარება! შენ როგორ გაგცლი სხვაში!—და ცოლს ტუჩებზე მაცდურმა ღიმილმა გაურბინა, ამ ღიმილში ნათლათ ამოიკითხავდა ადამიანი რაღაც საიდუმლო განზრახვას.

პოდგიპენტა.

მესტვირული.

(ხოანისთვის)

ალამი შენდა ეშმაკო,
სიცოცხლე მომაქვს გრძელიო...
შეხე, რა რიგათ ამღერდა
დღეს ხონში „გოლგოთელიო“,
უაზრო, უხეშ, ბეც თავთა
ერმთაშად გადამხვნელიო.
თუმც მისი მუზათ შლილობა
არ ახალია, ძველიო
მაგრამ ხომ მწყობრად თავდება
ლექსი შაირად გრძელიო!

—

პირველ ყოვლისა იკითხავ
ხონში თუ რამე ხთებაო,--

ნუ მკითხავ, შენი ჭირიმე,
კიტრათ არ გამოდგებაო!?
„სპირდონით“ ბევრი გაკეთდა,
ბევრს კი აწუხებს ვალიო.
მას ვინ ჩიოდა „ორმოცათ“
არ გამხთარიყო შალიო ..

—

ვაპრების გაუმაძღრობას
ცოტათ დაედვა საზღვარი,
მაგრამ რა, ალარ იკითხავ?
რაც რო გვპირდება არ არი.
ათი შაურით გაგვიხთა
ჩამოსახრჩობი ბაწარი,—

—

ამაებს კი გაუძლებდით
რომ ანტიფერშლებს არ ვყავდეთ,
სირცხვილი, იმათ რეცეპტებს
აფთიექებში დავყავდეთ!?
თუმც სხვების მოხაზულობას
ჩვენ გამოვხატავთ დაირში;
მათი სახელი ცნობილ არს
ისედაც მოკლე შაირში.
ალბათ მათესაც იკითხავ
თავის ამალი ბიკითა:
კურიოზს „ალექსანდროულს“
და „ემელს“ განთქმულს ნიკითა.
გახლავან, ისე, ერთ რიგად
შენაფიქრ, შენაღონები;
არ ვიცი ვისთვის დასჭირდათ
ამჟამად ცრემლის კონები?
იქნებ თავისას სტირიან
„ყვითელ მეგობრის“ მონები...
უაზროთ დანაბადები,
„თვალ ბედით“ შავი ყორნები!..

—

ექიმთა სულის კვეთებამ
ფულით გაითქვა სახელი;
უნდა ვეძიოთ რამე გზა
ჩვენ, თავად გამოსახსნელი;
თორემ სად „პოლიკარპე“ და—
ვიზიტი ერთი თუმანი?
ეჰ, რა ცუდ დროში ჩავარდა
„ჯანგელდი“ „ამასთუმანი“!

—

მსურდა მათხოვზე ცოტა ლაპარაკი
მეთქვა, რაღა ვსთქვა ახალი?
რა საცოდავად მიბობღავს
კვლავ ძველ შარა გზით მავალი...
მას გამოხატავს „ვარლამი“—ს
გადასაქმება ფულისა—
თუმც, ეს ფულები, როგორც სთქვა:
შემშრობი არის წყლუისა,
და, მასთანავე ამაო
კვლავ ძებნა დაკარგულისა.

ი. გოლგოთელი.

ძიება

აპიკპიკდა ისევ სტვირი
მე კი ცივი კურცხლით ვსტირი
ჩვენსა ტურფა ქალბატონებს
,,კოლოკოლოთ'' და ,,ტუფლების''
მაღალ ქუსლით ანაწონებს.

გალობს ისევ თვითონ სტვირი
და რიღასი ვიყვე მწირი,
ერთი მაინც თუ ვერ ვნახე
დადიოდეს თავის ფეხით
თავისივე ჰქონდეს სახე.

გადირია სულმთლად სტვირი
დავრბი, დამიღია პირი,
ვეძებ დას და დედას თუა
იყოს თუ გინდ ფეხშიშველი
ოღონ თავში ჰქონდეს ჭკუა.

სწორედ სტვირი თუა მთვრალი
ჰა ვიპოვნე ორი ქალი,
გავიგონე ტკბილი ხმა და
მოვისმინე მწყობრი კილო
და ძველ „დებთან'' მათი ქება
არ იქნება სათაკილო.

დია.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ყოველ-კვირეულ იუმორისტიული გამოცემა

ეშმაკის მათრახი

მიიღება ხელისმოწერა 1917 წლისათვის

ჟურნალის ფასი: 12 თვით 7 მ. —
6 თვიით 4 მ. — კ.
3 თვიით 2 მ. — კ.
1 თვიით — 70 კ.

ეშმაკის მათრახში დაიბეჭდება მხოლოდ იუმორისტული შინაარსის წერილები, ლექსები, მოთხრობები, ზღაპრები, არაკები, შარადები, გამოცანები, ნაკვესებიდა სხვა.

ჟურნალის საშვალტვარო და სალიტერატურო მხარეს განაგებს ეშმაკი,
ხოლო გამოცემის საქმეს კანტორა „განათლება“

რედაქცია სთხოვს როგორც თანამშრომლებს, ისე ხელის მომწერლებს რომ მასალები დ
ფული ამ ადრესზე: გამოიგზავნონ Тифлисъ, С. Р. Таварткилазе, Ольгинская, 6
поч. ящ. № 96.

ეროვნელდღიური საპოლიტიკო, საეკონომიო და სალიტერატურო გაზეთი

„საქართველო“

ყოველკვირეული სურათებიან დამატებით ღირს:

მთელის წლით—15 მან., ნახევარის წლით—9 მან., სამის თვით—5 მან., ერთის თვით—1 მ. 80 კაპ. ფოსტით ერთი თვით გაზეთის გამოწერა არ იძლევა.

წლიურ ხელის მოწერის ფასი შეიძლება ნაწილ-ნაწილად იქნას გარდახდილი უმეტეგის წესით: ხელის მოწერის დროს—7 მან; პირველ მარტისთვის 5 მან და პირველ ივნვრისათვის 3 მან. ვისაც წლიურად სურს გაზეთის გაწერა, ეს უნდა მოიხსენიოს პირველსავე ხელის მოწერის დროს. მისამართის გამოცვლისათვის ქალაქგარეთელმა ხელის მომწერმა უნდა წარმოადგინოს 50 კ. ფოსტის მარკა.

რედაქციის მისამართი: თბილისი, მოსკოვის ქ. № 4. ანუ ფოსტის ყუთი № 76 (почт. ящикъ № 76)

კანტორა ღია: ღილით—9-ან—3 საათამდე, საღამოს—5-ან—7 საათამდე.

✦ რედაქტორი: ხ. შანშიაშვილი.
✦ გამომცემელი: ამხანაგობა „საქართველო“.

(რკინის გზის მთავარი სახელოსნო)

დაწინაურებული



— თუ მე მუშებს არ გამოვემიჯნე, ისე რა სასარგებლო იქნება სამსახურში დაწინაურება?

ფონდი

„ეშმაკის მათრახის“ რედაქციამ კიდევ მიიღო დახმარება შემდეგი პირებისაგან: ელისე და ნიკოლოზ სოლომონისძე ნოე და ილია მოისრაფეშვილებისაგან, თედორე და ნესტორ ტუღუშებისაგან, სოლომონ მურვანიძე, კოსტა ურუშაძე ივ. როყვა, ლ. ცეცხლაძე, ის. კომახიძე და მიხაკო როყვამ, ათ ათი შაური სულ 6 მანეთი.

რედაქცია მათ მადლობას უცხადებს.

რედაქციისაგან

მოვაგონებთ თვიურ ხელის მომწერლებს

ფიმოიცანონ

თავის დროზე

ფული

ნისიათ ჟურნალი არავის არ გაეგზავნება.

რედაქტორი **თ. ბოლქვაძე.** ნებადართულია სამხ. ცენზორისაგან. სტამბა **ვ. რუხაძისა**, გბაევის შესახვ., № 1